


დავალებების ნიმუშები:

1. (1) რა არის ნაჩვენები მოცემულ ილუსტრაციაზე?



სწორი პასუხის ნიმუში:

ილუსტრაციაზე მოცემულია დედამიწის სითბური ბალანსის სქემა.

2. (2) გაანალიზეთ ფოტო და უპასუხეთ კითხვებს:



2.1.(1) რომელი მოვლენაა ასახული მოცემულ ფოტოზე?

სწორი პასუხის ნიმუში:

ფოტოზე ნაჩვენებია ზვავი.


2.2.(1) დაასახელეთ ბუნებრივი ფაქტორი, რის გამოც წარმოიქმნება აღნიშნული მოვლენა.

სწორი პასუხის ნიმუში:

ტემპერატურის უეცარი მატება / უტყეო ციცაბო ფერდობი / ინტენსიური თოვა

3. (3) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის სექტორების მიხედვით სათბურის აირების ემისიის წილის ცვლილება ქვეყნის მთლიან ემისიაში (მიწათსარგებლობის გარდა), 1990-2011 წწ.



3.1.(1) ეკონომიკის რომელი სექტორია დომინანტი სათბურის აირების ემისიების თვალსაზრისით?

სწორი პასუხის ნიმუში:

ემისიის თვალსაზრისით დომინანტია ენერგეტიკა.


3.2. (2) აღწერეთ მრეწველობის ემისიების წილის ცვლილება 1990-2011 წლებში და ახსენით ამის გამომწვევი მიზეზები?

სწორი პასუხის ნიმუში:

1990-ნი წლებიდან იკლებს მრეწველობის და იზრდება სოფლის მეურნეობის ემისიის წილი, რაც დაკავშირებულია სსრკ დაშლასთან, საქართველოში ენერგეტიკულ კრიზისთან და მრეწველობის შეჩერებასთან. 2007 წლიდან იწყება ვითარების მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია და იზრდება მრეწველობის წილი. შესაბამისად, ენერგეტიკის შემდეგ, მეორე ადგილს კვლავ იკავებს მრეწველობის სექტორი.

4. (4) გაანალიზეთ ერთ-ერთი ქალაქის კლიმატური დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:

ქალაქის კლიმატური დიაგრამა



4.1. (1) რომელ ნახევარსფეროში მდებარეობს (ჩრდილოეთში თუ სამხრეთში) მოცემული ქალაქი?

სწორი პასუხის ნიმუში:

ქალაქი მდებარეობს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

4.2. (1) უმეტესწილად, რომელი ტიპის ატმოსფერული ნალექი მოდის ქალაქში?

სწორი პასუხის ნიმუში:

ქალაქში ყველაზე ხშირად მოდის თოვლი.

4.3. (1) რომელ თვეში ფიქსირდება ატმოსფერული ნალექების მინიმალური რაოდენობა?

სწორი პასუხის ნიმუში:

მაისში.

4.4. (1) რას უდრის ქალაქში საშუალო წლიური ტემპერატურა? აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

სწორი პასუხის ნიმუში:

$$(-14.6 + (-14.5) + (-13.7) + (-9.8) + (-5.2) + 3.4 + 6.5 + 4 + (-3.8) + (-8.9) + (-12.9) + (-14.2)) / 12 = -6.97^{\circ}\text{C}$$